

## პრესრელიზი

**„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ხელი მოეწერა თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებებს ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჯგუფს „Dongfang Electric Corporation Limited“-სა (DEC) და საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას (GIEC) შორის**

16 ოქტომბერს, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჩინურ კორპორაციას „Dongfang Electric Corporation“-სა და „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაციას“ შორის რამდენიმე შეთანხმება გაფორმდა, რომელიც საქართველოში სოლიდური ჩინური ინვესტიციის დაბანდებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ ამ შეთანხმებების ხელმოწერას წინ უძღვოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი ქალაქ დალიანში კორპორაცია „Dongfang Electric Corporation“-ის პრეზიდენტს სი ზეფუს შეხვდა. შეხვედრაზე განხილული იქნა „Dongfang Electric Corporation“-ის მიერ საქართველოში განსახორციელებელი სამომავლო სტრატეგიული მიზნები და კონკრეტული პროექტები.

მხარეთა შორის მიღწეული მოლაპარაკებების შედეგად, გაფორმდა „განზრახულობათა ოქმი - პარტნიორთა შეთანხმების თაობაზე“, რომელსაც ჩინური მხრიდან კორპორაცია „Dongfang Electric Corporation“-ის ვიცე პრეზიდენტმა ლან ზე ჰაიმ, ქართული მხრიდან კი, „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“ გენერალურმა დირექტორმა იორგ მათიესმა მოაწერა.

პროექტის განხორციელების მიზნით გაფორმებული სტრატეგიული დოკუმენტის პარალელურად, ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ტყიბული 150“-ს შორის ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე ხელშეკრულებას, რომელსაც საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ მოაწერა.

აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებში მიღწეული ზემოაღნიშნული შეთანხმებები ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის ენერჯოუსაფრთხოების გაზრდას, ადგილობრივი ნახშირმომპოვებელი ინდუსტრიის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ელექტროენერჯის საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

ხელმოწერის ცერემონიის ფარგლებში ასევე ფორმდა ძირითადი ხელშეკრულება - ტყიბულის მუნიციპალიტეტში 150 მეგავატიანი თბოელექტროსადგურის EPC კონტრაქტის თაობაზე, რომელსაც, ქართული მხრიდან, კომპანია „ტყიბული 150“-ის დირექტორმა გივი ჭაჭიამ და ჩინური მხრიდან - „Dongfang Electric Corporation“-ის ვიცე პრეზიდენტმა ლან ზე ჰაიმ მოაწერა. შეთანხმების შედეგად, ტყიბულის მუნიციპალიტეტში ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება დაგეგმილია 2016 წლიდან. თბოელექტროსადგურის დადგენილი სიმძლავრე იქნება 150 მგვტ., ხოლო წლიური გამომუშავება - 1 მილიარდი კვტ/სთი.

აბრეშუმის გზის ფორუმის ფარგლებშივე “Dongfang Electric Corporation”-სა და „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ შორის ხელი მოეწერა ურთიერთაგების მემორანდუმს, საქართველოში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ერთობლივი განხორციელების თაობაზე.

პარლამენტში გამართულ ხელმოწერის ოფიციალურ ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვიციანი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრო. ჩინეთის დელეგაციას “Dongfang Electric Corporation”-ის პრეზიდენტი სი ზეფუ, საელჩოს წარმომადგენლები და „აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში მოწვეული ოფიციალური პირები დაესწრნენ.

**“Dongfang Electric Corporation”** - წარმოადგენს უმსხვილეს ჩინურ ჰოლდინგს, რომელიც ჩინეთის ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაშია. კომპანიას ნახევარსაუკუნოვანი განვითარების ისტორია გააჩნია. იგი სპეციალიზდება ენერგოგენერაციის ობიექტებისთვის დანადგარების წარმოებასა და ექსპორტში. “Dongfang Electric Corporation”-ი მაღალი კლასის თანამედროვე ტექნოლოგიებით და წარმოების ხარისხის დონით გამორჩეული კომპანიაა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩინეთის ეკონომიკაში. იგი ჩინური თერმული ენერგეტიკის ბაზრის 1/3 წილს და ჰიდროენერგეტიკის ბაზრის 2/5-ს წილს ფლობს. კომპანია ასევე მოღვაწეობს სხვადასხვა დარგში როგორცაა: მძიმე მრეწველობა, ელექტრო გადამცემი ხაზების წარმოება და მონტაჟი, სამრეწველო კონტროლის მოწყობილობები, მაღალი ძაბვის დიდი სიხშირის კონვერტორები, ქიმიური დანადგარები. “Dongfang Electric Corporation”-ი იკავებს წამყვან პოზიციას ჩინურ ბაზარზე საერთაშორისო კონტრაქტორის როლში და ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს 30-ზე მეტ ქვეყანაში.

**“საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია”** (GIEC) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. GIEC - „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანიაა. GIEC-ის მთავარი ბიზნესმიმართულება ელექტროენერჯის გამომუშავება და ბუნებრივი აირის რეალიზაციაა. დღეისათვის GIEC-ი საქართველოში ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგომარაგს.

16.10.15

კომპანია “ჯი-აი-ჯი” ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

